გადაწყვეტილება

N გ-23-8/392
21/08/2023

392-გ-23-1-4-202308211251

მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებული №20 (ცალკემდგომი) აუქციონის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით, მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად გამოცხადდა 24 აუქციონი. აღნიშნული 24 აუქციონიდან №11-№21 აუქციონების ჩატარების თარიღად 2023 წლის 21 აგვისტოს 12:00 საათი განისაზღვრა, ხოლო ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება 2023 წლის 12 ივლისის 09:00 საათიდან 28 ივლისის 17:00 საათამდე მიმდინარეობდა.

კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებული №20 აუქციონისთვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური განისაზღვრა 216 000 (ორასთექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით; აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5%-ს, დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე ანუ 10 800 (ათი ათას რვაასი) ლარს.

კომისია აღნიშნავს, რომ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად კომისიაში განცხადება წარმოადგინა მხოლოდ შპს „სელფი მობაილმა“ (ს/კ 204450584) (განცხადების კომისიაში რეგისტრაციის №შ-23-11/2462, 28.07.23). განაცხადის შესაბამისად, კომპანიას 2023 წლის 21 აგვისტოს გასამართი აუქციონებიდან სურს მიიღოს მონაწილეობა №18, №19, №20 და №21 (ცალკემდგომ) აუქციონებში, რომლიდანაც სურვილი აქვს შეიძინოს მხოლოდ ორი ლოტი. განცხადებაზე თანდართულია ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ასევე სალიცენზიო მოსაკრებლის (4000 ლარის) გადახდის დამადასტურებელი საბუთი და რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%–ის გადახდის დამადასტურებელი ორი საბუთი თითოეული 21 600 ლარის (ბე) ოდენობით.

კომისიის 2023 წლის 21 აგვისტოს სხდომაზე, აღინიშნა რომ შპს „სელფი მობაილი“ გამარჯვებულად გამოვლინდა კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ №18 და №19 (ცალკემდგომ) აუქციონებში. ვინაიდან შპს „სელფი მობაილი“ გამოცხადდა გამარჯვებულად კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ №18 და №19 (ცალკემდგომ) აუქციონებში მის მიერ გადახდილი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% აღარ არის საკმარისი კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ №20 (ცალკემდგომ) აუქციონში მონაწილეობის მისაღებად. ამასთანავე განაცხადის მიხედვით შპს „სელფი მობაილს“ სურვილი ჰქონდა კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ №18, №19, №20 და №21 (ცალკემდგომი) აუქციონებიდან შეეძინა მხოლოდ ორი ლოტი, შესაბამისად №20 აუქციონი უნდა გამოცხადდეს ჩაშლილად.

„რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების“ 5^1 მუხლის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ მრავალლიცენზიან (თანმიმდევრულ) აუქციონებში მონაწილეობის მიღების მიზნით წარმოდგენილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% – გადახდილი ბეს სახით მას აძლევდა საშუალებას მონაწილეობა მიეღო აუქციონში/აუქციონებში, მაგრამ ლიცენზიის მაძიებელმა უარი განაცხადა აუქციონში/აუქციონებში მონაწილეობის მიღებაზე და მის მიერ მრავალლიცენზიან (თანმიმდევრულ) აუქციონებში მონაწილეობის მიღების მიზნით გადახდილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% (ბე) მეტია იმ აუქციონის/აუქციონებისთვის გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ზე ან საფასურის 10%-ის ჯამზე, რომელ აუქციონში/აუქციონებშიც მან მონაწილეობა მიიღო, ლიცენზიის მაძიებელი კარგავს სხვაობას მის მიერ მრავალლიცენზიან (თანმიმდევრულ) აუქციონებში მონაწილეობის მიღების მიზნით გადახდილ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-სა (ბე) და იმ აუქციონის/აუქციონებისთვის გათვალისწინებულ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ს ან საფასურის 10%-ის ჯამს შორის, რომელ აუქციონშიც/აუქციონებშიც მან მონაწილეობა მიიღო, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ მრავალლიცენზიან (თანმიმდევრულ) აუქციონებში მონაწილეობის მიღების მიზნით გადახდილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% (ბე) ნაკლები ან ტოლია იმ აუქციონის/აუქციონებისთვის გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ზე ან საფასურის 10%-ის ჯამზე, რომელ აუქციონში/აუქციონებშიც მან მონაწილეობა მიიღო, მას ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% (ბე) უკან უბრუნდება ბეს სახით გადახდილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის იმ 10%-ს გამოკლებით, რომელიც გათვალისწინებულია იმ აუქციონისთვის, რომელშიც ლიცენზიის მაძიებელმა გაიმარჯვა. ამ შემთხვევებში ლიცენზიის მაძიებელს სალიცენზიო მოსაკრებელი უკან არ უბრუნდება. აღნიშნულთან დაკავშირებით კომისია აღნიშნავს რომ შპს „სელფი მობაილმა“ კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ №18, №19, №20 და №21 (ცალკემდგომ) აუქციონებში მონაწილეობისთვის და ამ აუქციონებიდან მხოლოდ ორი ლოტის შეძენის მიზნით წარმოადგინა სალიცენზიო მოსაკრებლის (4000 ლარის) გადახდის დამადასტურებელი საბუთი და რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%–ის გადახდის დამადასტურებელი ორი საბუთი თითოეული 21 600 ლარის (ბე) ოდენობით ამასთანავე შპს „სელფი მობაილი“ გამოცხადდა გამარჯვებულად კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ №18 და №19 (ცალკემდგომ) აუქციონებში, შესაბამისად კომპანიის მიერ აუქციონებში მონაწილეობის მიზნით გადახდილ რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ს (43 200 ლარს) გამოაკლდა კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებული №18 და №19 (ცალკემდგომ) აუქციონებისთვის გათვალისწინებული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% ანუ 43 200 ლარი რის შედეგად შპს „სელფი მობაილს“ დარჩა რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% - ნული ლარი, რაც საკმარისი არ იყო კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ №20 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახეზე არ არის „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების“ 5^1 მუხლის ვ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და სალიცენზიო მოსაკრებელის დაბრუნების წინაპირობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ბ“ და „მ“ ქვეპუნქტების „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების“ 5^1 მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ჩაშლილად გამოცხადდეს მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების

მისაღებად კომისიის 2023 წლის 6 ივლისის №გ-23-8/316 გადაწყვეტილებით გამოცხადებული №20 აუქციონი;

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება (ნ. ჯანელიძე) და შპს „სელფი მობაილისთვის" გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი